

ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N22 საცხოვრებელი სახლის  
N8 ბინაზე, მოქალაქე ნანა შაფათაფასათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა თაბუკაშვილის ქუჩა N22 საცხოვრებელი სახლის N8 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ნანა შაფათაფას განცხადება /2012 წლის 28.09 Nშ-8261/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მღებარე ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N22 საცხოვრებელი სახლის N8 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „აღვილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის აღვილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N22 საცხოვრებელი სახლის N8 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ნანა შაფათაფას.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N22 საცხოვრებელი სახლის N8 ბინაზე /საერთო ფართობი 42,58 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 28,52 კვ.მ, დამხმარე ფართობი 14,06 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 4-8,59 კვ.მ./ მოქალაქე ნანა შაფათაფას სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონკრეტული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ნ.კაჭკაჭიშვილმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

